



თიბისი კაპიტალი

კაპიტალის ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

თიბისი კაპიტალის საბროკერო

16/09/2024

რატი კალანდარიშვილი
უფროსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

რატი წიკლაური
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ნიკოლოზ ჩიტაძე
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა


ალექსანდრე გოცაძე
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ელენე ბეჟანიძე
უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა


მოკლე შეჯამება

კვირის თემა

სექტორების როტაცია: ტექნოლოგიებიდან ციკლურ საქონლამდე



S&P 500-ის უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე (წლდ)



საქონლის ბაზარი

101.11 აშშ დოლარის ინდექსი	▼ -0.07% ცვლილება, კ/კ
67.75 ნედლი ნავთობი	▲ 0.12% ცვლილება, კ/კ
60.51K ბიტკოინი	▲ 12.13% ცვლილება, კ/კ
2.58K ოქრო	▲ 3.18% ცვლილება, კ/კ

საინვესტიციო თემები

- დოლარი იანვრიდან ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა, რადგან მოვაჭრეები სულ უფრო მეტად ელიან, რომ ფედერალური რეზერვი ამ კვირაში ნახევარპროცენტთან განაკვეთის შემცირებას განახორციელებს.
- ის ფაქტორები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ევროპის აქციების ზრდას უწყობდნენ ხელს, სუსტდება.
- ენმა გადალახა 140-იანი ფსიქოლოგიური ნიშნული დოლართან მიმართებაში.
- სუსტი ეკონომიკური ანგარიშების სერია ჩინეთიდან აჩენს შეშფოთებას აქციებით მოვაჭრეებში ხელისუფლებისგან გადამწყვეტი სტიმულის ნაკლებობის გამო.


სექტორების ერთკვირიანი უკუგება

სექტორი	% ცვლილება
საინფორმაციო ტექნოლოგიები	▲ 8.10%
ციკლური საქონელი	▲ 5.53%
ინდუსტრია	▲ 3.72%
კომუნიკაციები	▲ 3.70%
უძრავი ქონება	▲ 3.62%
კომუნალურები	▲ 3.46%
მატერიალები	▲ 3.11%
ჯანდაცვა	▲ 1.44%
აციკლური საქონელი	▲ 1.13%
ფინანსები	▲ 0.50%
ენერჯეტიკა	▼ -0.49%

მაკრო მიმოხილვა

აშშ-ში ინფლაციური სურათი შერეულია

— აშშ-ის ძირითადი ინფლაცია, წ/წ — აშშ-ის ინფლაცია, წ/წ




მაკრო მიმოხილვა


წამყვანი ეკონომიკების მაკროეკონომიკური პორტრეტი

აშშ-ში ინფლაციური სურათი შერეულია

— აშშ-ის ძირითადი ინფლაცია, წ/წ — აშშ-ის ინფლაცია, წ/წ



ECB-ის ჯამური განაკვეთების შემცირება



აშშ-ის ინფლაცია აგვისტოში კიდევ უფრო შემცირდა, რაც მიუთითებს, რომ პანდემიის დროს დამახასიათებელი სწრაფი ფასების ზრდა თანდათან სუსტდება. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), რომელიც მთელ ეკონომიკაში ფასების ცვლილებებს ზომავს, აგვისტოში წლიური 2.5%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ივლისში ზრდა 2.9% იყო, რაც 2021 წლის თებერვლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მერყევი სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამოკლებით, საბაზო ინდექსი აგვისტოში თვიური 0.3%-ით გაიზარდა, რაც პროგნოზირებულ 0.2%-სა და წინა თვის 0.2%-ს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში სამომხმარებლო ფასები აგვისტოში მცირედით გაიზარდა, ძირითადი ინფლაცია კვლავ „წებოვანი“ რჩება, განსაკუთრებით საცხოვრებლისა და მომსახურების ფასების ზრდის ფონზე, რაც ამცირებს იმედებს, რომ ფედერალური რეზერვი ამ კვირაში განაკვეთებს ნახევარი პროცენტით შეამცირებს.

რატომაა მნიშვნელოვანი: ბოლო მონაცემების გათვალისწინებით, ინფლაციის მართვიდან რეცესიის პრევენციაზე ფოკუსის გადატანასთან ერთად, როდესაც დასაქმების ბაზარი ნელდება, მოსალოდნელია, რომ აშშ-ის ფედერალური რეზერვი ამ თვეში საპროცენტო განაკვეთების შემცირებას დაიწყებს. ჯექსონ ჰოლის გამოსვლისას ფედის თავმჯდომარემ, ჯერომ პაუელმა, ხაზი გაუსვა, რომ ინფლაციის მიმართ მიღწეული პროგრესი საკმარისია განაკვეთების შემცირების დასაწყებად. ეს უკანასკნელი ანგარიში ამ პოზიციას არ ცვლის.

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) წელს უკვე მეორედ შეამცირა საპროცენტო განაკვეთები, რაც დეპოზიტების ცენტრალური განაკვეთის მეოთხედ-პროცენტული კლებაა. გადაწყვეტილება ფართოდ იყო მოსალოდნელი და მოჰყვა ეკონომიკური ზრდის ნელი ტემპისა და ინფლაციის შესუსტების პერიოდს, რომელმაც აგვისტოში ECB-ის 2%-იან მიზანს მიუახლოვდა. ECB-მ ასევე შეამცირა 2024 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.9%-დან 0.8%-მდე და ამის მიზეზად დაასახელა „შიდა მოთხოვნის შესუსტებული კონტრიბუცია მომდევნო კვარტლებში“.

რატომაა მნიშვნელოვანი: ბევრი ბაზრის მონაწილისთვის ძირითადი შეკითხვა ის კი არ იყო, შეამცირებდა თუ არა ECB განაკვეთებს სექტემბერში, არამედ მისცემდა თუ არა მიაწინებს მომავალ ქმედებებზე. ECB-ის მმართველი საბჭოს განცხადებაში აღინიშნა, რომ ის „არ იღებს წინასწარ ვალდებულებას კონკრეტული განაკვეთების შემცირების განრიგის შესახებ“ და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მისი გადაწყვეტილებები მონაცემებზე იქნება დამოკიდებული.

სავაჭრო საქონელი და ინდექსები


აშშ დოლარის ინდექსი

101.11

აშშ დოლარის ინდექსი

▼ -0.07%

ცვლილება, კ/კ



• აშშ დოლარის ინდექსი (DXY), რომელიც ზომავს დოლარის სიძლიერეს სხვა ვალუტების კალათის მიმართ, პარასკევს შემცირდა, რადგან ბაზრები აგრძელებენ ამ კვირის ინფლაციის მონაცემების გაანალიზებას. კვირის ბოლოს, ფედერალური რეზერვის მომავალ შეხვედრაზე 50-პუნქტიანი შემცირების მოლოდინები მცირედით გაიზარდა.


ოქრო

2.58K

ოქრო

▲ 3.18%

ცვლილება, კ/კ



• ოქროს ფასები (XAU/USD) ოდნავ შემცირდა ორშაბათს, ახალი რეკორდული მაჩვენებლის, \$2,589-2,590 დიაპაზონის მიღწევის შემდეგ და ახლა ვაჭრობა მიმდინარეობს \$2,581-2,582-ის გარშემო, ევროპის სავაჭრო სესიის დასაწყისში. ეს მცირე კორექცია, როგორც ჩანს, გამოწვეულია მოგების დაფიქსირებით ზოგადად პოზიტიური რისკის განწყობის ფონზე.


ნედლი ნავთობი

67.75

ნედლი ნავთობი

▲ 0.12%

ცვლილება, კ/კ



• ტენასური სინჯის ნედლი ნავთობის (WTI) ფასები აშშ-ში ორშაბათს, აზიური სავაჭრო სესიის დროს, გარკვეულ გაყიდვების ზეწოლას განიცდიდა, 0.60%-ზე მეტით შემცირდა და \$68.00-ს ქვევით ივაჭრება. ფასების კლების ძირითადი ფაქტორია ჩინეთში საწვავის მოთხოვნის შენელებაზე განახლებული შეშფოთება, მას შემდეგ, რაც შაბათ-კვირას გამოქვეყნდა სუსტი ეკონომიკური მონაცემების სერია.


ბიტკოინი

60.51K

ბიტკოინი

▲ 12.13%

ცვლილება, კ/კ




• ბიტკოინი (BTC) ამ კვირაში 6%-ით გაიზარდა, და მოსალოდნელია, რომ მუხტი გაგრძელდება, რადგან ოთხშაბათს წარმატებით ჩატარდა \$56,000-ის ყოველდღიური მხარდაჭერის ტესტირება. მოლოდინია, რომ მომავალი კვირისთვის ბიტკოინი \$60,000-ისკენ აიწევს, რასაც ხელს უწყობს აშშ-ში ბირჟაზე წარმოდგენილი ბიტკოინის ETF-ებში შემომავალი ინვესტიციები.

კვირის თემა

ტექნოლოგიური სექტორი საჭეს თმობს

სექტორების როტაცია: ტექნოლოგიებიდან ციკლურ საქონლამდე

— Mag7 ინდექსი — S&P 500 ციკლური საქონელი — S&P 500 ჯანდაცვა — S&P 500 უძრავი ქონება — S&P 500 კომუნალურები



აქციათა ბაზარი თითქმის ბოლომდე აღდგა ზაფხულის გაყიდვების ტალღის შემდეგ, თუმცა ამჯერად აღდგენა დიდ ტექნოლოგიურ კომპანიებზე არ არის დამოკიდებული. მაშინ, როდესაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ტექნოლოგიურმა გიგანტებმა, როგორცაა Nvidia და Microsoft, S&P 500-ის ზრდას ხელი შეუწყვეს, ინვესტორები ახლა უფრო მეტად უყურებენ ისეთ სექტორებს, როგორცაა უძრავი ქონება, კომუნალური მომსახურებები და სამომხმარებლო პროდუქტები, განსაკუთრებით ეკონომიკური ზრდის შენელებისა და ფედერალური რეზერვის მომავალი საპროცენტო განაკვეთების შემცირების მოლოდინის ფონზე.

მას შემდეგ, რაც S&P 500-მა 16 ივლისს პიკს მიაღწია, ტექნოლოგიური აქციების ე.წ. "შესანიშნავი შვიდეული" — Nvidia, Microsoft, Apple, Alphabet, Amazon, Meta და Tesla — ძირითადად დაეცა, ხოლო Bloomberg Magnificent 7-ის ინდექსი 5.3%-ით შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ფართო ინდექსი 1%-ზე ნაკლებით შემცირდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ამ სწრაფად მზარდი ტექნოლოგიური აქციების გავლენით, მაშინ როდესაც უძრავი ქონებისა და კომუნალური მომსახურებების, ჩვეულებრივ ნელი, სექტორები 11%-ით გაიზარდა.

ეს როტაცია მხარდაჭერილია მონეტარული პოლიტიკის შერბილების მოლოდინებით და ასახავს მოგების პერსპექტივის გაუმჯობესებას ფართო ბაზარზე, ტექნოლოგიური გიგანტების მარჯების მიმართ მზარდი შეშფოთების ფონზე. ამ ტენდენციის მომავალი მიმართულება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე იქნება დამოკიდებული, ხოლო მოვარტალები ყურადღებით აკვირდებიან ფედერალური რეზერვის მომდევნო გადაწყვეტილებას, რადგან არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, 25 საბაზისო პუნქტით შეამცირებს ბანკი განაკვეთებს თუ 50-ით.


ტექნოლოგიებისგან განსხვავებულ სექტორებში, როგორცაა ჯანდაცვა, მოგების პერსპექტივების გაუმჯობესებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შვიდი კვარტლის განმავლობაში ზედიზედ კლების შემდეგ, ჯანდაცვის კომპანიებმა მეორე კვარტალში მოგების 16%-იანი ზრდა აჩვენეს, ხოლო წლის ბოლომდე დამატებითი ზრდაა ნავარაუდევია, 2025 წლის პირველ კვარტალში კი 45%-იანი ზრდის პოტენციული არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური გიგანტები კვლავაც ძლიერ მოგებებს იძლევიან, მათი ზრდის ტემპი შენედა. „შესანიშნავი შვიდეულის“ კომპანიების მოგების ზრდა მეორე კვარტალში 36% იყო, რაც წინა სამ კვარტალში 50%-ზე მეტიდან შემცირდა, ხოლო მომდევნო ოთხ კვარტალში პროგნოზირებულია 17%-დან 20%-მდე ზრდა.

საინვესტიციო თემები

დოლარის პრობლემები

ბლუმბერგის დოლარის ინდექსი უახლოვდება ივნისის მინიმუმს




- დოლარი იანვრიდან ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა, რადგან მოვაჭრეები სულ უფრო მეტად ელიან, რომ ფედერალური რეზერვი ამ კვირაში ნახევარპროცენტთან განაკვეთის შემცირებას განახორციელებს. Bloomberg-ის დოლარის ინდექსი ორშაბათს 0.3%-ით დაეცა და აგვისტოს მინიმუმს მიუახლოვდა. თავის მხრივ, დოლარის სისუსტემ გააძლიერა ისეთი ვალუტები, როგორცაა იენი, რომელმაც 2023 წლის ივლისის შემდეგ უმაღლეს დონეს მიაღწია.
- დოლარმა ბოლო თვეში პოზიციები დაკარგა უმეტეს მთავარ ვალუტასთან მიმართებაში, ისეთი ტრადიციულად სუსტი ვალუტები კი როგორცაა იენი და შვეიცარული ფრანკი, მნიშვნელოვნად გამყარდნენ. FED-ი 17-18 სექტემბრის პოლიტიკის შეხვედრის წინ დუმს, რაც მოვაჭრეებს მცირე მონაცემების ბაზას უტოვებს მათი პოზიციის შეფასებისათვის, მათ შორის აგვისტოს საცალო გაყიდვების ანგარიშის, რომლის გამოქვეყნებაც დაგეგმილია სამშაბათს.

ევროპის საფონდო ვარსკვლავები ქვრება

Magnificent 7-ის ევროპული პასუხი ქრება

— GS EU GRANOLAS — Magnificent 7 — S&P 500 ინდექსი — Stoxx Europe 600 ინდექსი



- ის ფაქტორები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ევროპის აქციების ზრდას უწყობდნენ ხელს, სუსტდება, რის გამოც რეგიონული აქციები ვარდნის საფრთხის ქვეშაა, რადგან ინვესტორთა ნეგატიურ განწყობას ეკონომიკური ზრდის შენელება და ჩინეთთან დაძაბულობა კიდევ უფრო ამწვავებს. მნიშვნელოვანი სექტორები ბოლო ექვსი თვის განმავლობაში სტაბილურად ეცემიან. უფრო ახლახანს, ჯანდაცვის ისეთი გიგანტები, როგორებიცაა Novo Nordisk და ტექნოლოგიური კომპანიები, როგორებიცაა ASML, ასევე შემცირდნენ.
- ინვესტორებმა უკვე მილიარდები ამოიღეს ევროპაზე ორიენტირებული ფონდებიდან და ETF-ებიდან და აშშ-სა და გლობალური აქციები ამჯობინეს. ერთ-ერთი გამოწვევა ისაა, რომ ევროპის წამყვანმა სექტორებმა ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ იგივე ტემპი, რაც აშშ-ში, სადაც ტექნოლოგიური გიგანტები დომინირებენ.

იენი ბრუნდება


იენი ძლიერდება დოლართან 140-ზე მეტად პირველად 2023 წლის შემდეგ



- იენმა გადალახა 140-იანი ფსიქოლოგიური ნიშნული დოლართან მიმართებაში და აგრძელებს ზრდას 38 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლიდან, რომელიც ივლისში დაფიქსირდა. ორშაბათს ის დოლართან მიმართებაში 0.6%-ით გაიზარდა და მიაღწია 139.96-ს, რაც 2023 წლის ივლისის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. იენი გახდა ყველაზე წარმატებული ვალუტა დიდი ათეულის ქვეყნებში ამ კვარტალში და გაიზარდა 15%-ით, რადგან ინვესტორები მოელიან აშშ-სა და იაპონიას შორის საპროცენტო განაკვეთის სხვაობის შემცირებას.
- მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური რეზერვი თითქმის დარწმუნებულია, რომ ოთხშაბათს შეამცირებს აშშ-ს სესხის მიღების ხარჯებს — თუმცა შემცირების ზომა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა — იაპონიის ბანკი სავარაუდოდ შეინარჩუნებს თავის ამჟამინდელ პოზიციას პარასკევს მას შემდეგ, რაც წელს ორჯერ გაიზარდა განაკვეთი.

ჩინეთის ეკონომიკური დაღმასვლა

Hang Seng ჩინეთის საწარმოო ინდექსი - კვირის გრაფიკი




- სუსტი ეკონომიკური ანგარიშების სერია ჩინეთიდან აჩენს შეშფოთებას აქციებით მოვაჭრეებში ხელისუფლებისგან გადამწყვეტი სტიმულის ნაკლებობის გამო. შაბათს გამოქვეყნებულმა მონაცემებმა აჩვენა ქარხნული წარმოების, მოხმარებისა და ინვესტიციების ზრდის მოსალოდნელოზე ნელი ტემპი აგვისტოში, ასევე უმუშევრობის ზრდა ექვსთვიან მაქსიმუმამდე. ბინების ფასებიც შემცირდა. „არსებობს შიში, რომ მთავრობას ეკონომიკის კონტროლი უჭირს“, თქვა Gary Dugan-მა, Global CIO Office-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, რადგან CSI 300 ინდექსი ისეთი დაბალი ნიშნულისკენ მიემართება, რაც 2019 წლის დასაწყისის შემდეგ არ იყო. ინვესტორები შიშობენ, რომ თუ ახალი მნიშვნელოვანი პოლიტიკა არ განხორციელდება, ჩინეთის ბაზრები გააგრძელებენ დაცემას.

სექტორული მიმოხილვა

საინფორმაციო ტექნოლოგიები

16.11 Market Cap (Trillio...
8.10% Weekly Change
33.60 P/E
12.80 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● საინფორმაციო ტექნოლოგიები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
INTC	140.39bn	19.66	4.08%	17.08	8.89
SAP	242.27bn	221.28	4.71%	28.74	19.15
AAPL	3,439.59bn	222.50	0.76%	30.70	23.53
NVDA	2,901.08bn	119.10	15.82%	31.23	25.85
MSFT	3,248.74bn	430.59	7.19%	32.80	22.19


• Apple-ის (AAPL) „Glowtime“ სექტემბრის ღონისძიებაზე, ტიმ კუკმა და კომპანიამ წარადგინეს iPhone 16-ის ხაზი, AirPods 4, AirPods Pro და Apple Watch Series 10. 90-წუთიანი ღონისძიება ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ როგორ შეცვლის ხელოვნური ინტელექტი iPhone-ების მომავალს. მათ განსაკუთრებით გამოყვეს კომპანიის მიერ შექმნილი გენერაციული AI-ის ინტეგრაცია, რომელიც Apple Intelligence-ის სახელით არის ცნობილი, და ისაუბრეს ახალ AI-ზე დაფუძნებულ ფუნქციებზე, რომლებიც iOS 18-თან ერთად იქნება ხელმისაწვდომი.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
FTEC	10.81bn	169.30	-4.65%	21.90%	0.12%
QQQ	287.33bn	475.34	-3.96%	18.00%	0.12%
VGT	74.83bn	569.24	-4.64%	21.50%	0.12%
XLK	68.70bn	220.44	-5.53%	17.80%	0.12%
XSD	1.55bn	228.45	-6.45%	14.10%	0.12%

ჯანდაცვა

8.07 Market Cap (Trillio...
1.44% Weekly Change
30.70 P/E
22.60 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ჯანდაცვა

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
ALNY	30.08bn	265.27	7.49%		
FMS	11.55bn	21.09	7.16%	10.79	6.17
JNJ	372.29bn	165.52	0.69%	14.42	11.57
ILMN	18.24bn	129.18	3.85%	31.70	18.74

• აშშ-ს FDA-მ დაამტკიცა Eli Lilly-ის (LLY) Ebglyss (lebrikizumab) 12 და უფროსი ასაკის პაციენტებისთვის, რომლებსაც აქვთ საშუალო ან მძიმე ფორმის ეგზემა. პრეპარატი გამოიყენება 250 მგ/2 მლ ინექციის სახით, კორტიკოსტეროიდების გამოყენებით ან მათ გარეშე. პრეპარატის დამტკიცება თავდაპირველად შეფერხდა წარმოების პრობლემების გამო, თუმცა მას შემდეგ, რაც მასზე ტესტირება ჩატარდა 1,000-ზე მეტ მონაწილესთან, ახლა ის დამტკიცებულია.


• Johnson & Johnson-მა (JNJ) მიიღო FDA-ის ნებართვა Tremfya-ს (guselkumab) გამოყენების გაფართოებაზე ზრდასრულებში.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLV	40.16bn	156.16	-0.27%	6.50%	0.12%
VHT	17.93bn	286.14	-0.45%	6.40%	0.12%
IBB	7.65bn	147.81	-0.70%	4.30%	0.12%
XBI	7.59bn	101.21	-1.47%	8.10%	0.12%
ARKG	1.36bn	26.12	0.16%	-22.40%	0.12%

ციკლური საქონელი

9.17 Market Cap (Trillio...
5.53% Weekly Change
22.30 P/E
14.40 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ციკლური საქონელი

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
TSLA	762.86bn	230.29	9.28%	72.05	37.35
TM	311.40bn	175.39	-1.01%	9.18	5.43
ABNB	95.31bn	117.75	3.04%	27.86	18.54
LULU	35.03bn	266.76	5.09%	17.68	10.91
LI	20.84bn	19.12	4.42%	12.73	4.71


• Amazon-მა (AMZN) გამოაცხადა \$2.1 მილიარდიანი ინვესტიცია თავის მიტანის სერვისის პარტნიორის (DSP) პროგრამაში, რამაც პროგრამის ჯამური ინვესტიცია 6 წლის განმავლობაში \$12.3 მილიარდამდე გაზარდა. ეს თანხები გამოყენებული იქნება უსაფრთხოების პროგრამებისთვის, ტრენინგისთვის და განაკვეთის ბარათების ზრდისთვის. დამატებით, \$660 მილიონი მოხმარდება მძღოლების ხელფასების გაზრდას, რაც საშუალოდ ეროვნულ დონეზე 7%-ით მეტია და \$22 საათში შეადგენს. Amazon ასევე გამოიყენებს AI-ს, რათა შეაფასოს 200 მილიონი გზის რისკები და წლის ბოლომდე მიაწოდოს 18 მილიონი უსაფრთხოების მინიშნება.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLY	20.09bn	192.48	-1.92%	6.00%	0.12%
VCR	5.64bn	328.58	-2.05%	5.90%	0.12%
FXD	1.46bn	61.53	-1.86%	2.20%	0.12%
FDIS	1.44bn	85.26	-1.85%	5.90%	0.12%
XRT	0.46bn	75.52	-1.97%	4.60%	0.12%

კომუნიკაციები

6.21 Market Cap (Trillio...
3.70% Weekly Change
28.20 P/E
17.60 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● კომუნიკაციები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
TMUS	213.34bn	202.83	5.09%	16.45	9.56
META	1,209.54bn	524.62	4.87%	20.22	11.98
GOOG	2,205.99bn	158.37	4.10%	20.38	13.39
EA	37.26bn	145.83	1.26%	16.88	13.25
DIS	174.54bn	90.55	2.97%	17.65	11.03


• ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიამ Alphabet Inc.-ის Google-ის (GOOG) წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, რათა შეამოწმოს, დააკმაყოფილა თუ არა კომპანიის AI მოდელის შემუშავებისას ევროკავშირის კონფიდენციალურობის რეგულაციები. გამოძიება დაადგენს, ჩაატარა თუ არა Google-მა მონაცემთა დაცვის ზემოქმედების შეფასება, როგორც ამას ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საერთო რეგულაცია (GDPR) მოითხოვს, სანამ იგი ევროკავშირის მოქალაქეების პერსონალურ მონაცემებს Pathways Language Model 2 (PaLM 2) მოდელის საფუძვლიანი მოდელისათვის დაამუშავებდა.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLC	19.24bn	86.87	-1.39%	17.80%	0.12%
VOX	3.95bn	139.00	-1.76%	17.10%	0.12%
FCOM	1.17bn	52.61	-1.66%	17.00%	0.12%
NXTG	0.38bn	85.98	-2.53%	10.20%	0.12%
IXP	0.37bn	89.46	-2.30%	19.20%	0.12%

ფინანსები

9.26 Market Cap (Trillio...
0.50% Weekly Change
14.40 P/E
15.00 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ფინანსები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
BX	168.20bn	151.19	10.26%	23.21	18.14
MS	165.91bn	98.25	1.72%	13.41	
RY	157.26bn	123.59	2.20%	12.46	
CB	105.53bn	288.87	0.48%	11.06	
COIN	63.31bn	163.05	10.65%	48.76	21.42


• JPMorgan Chase-ის (JPM) გადახდების განყოფილებამ გააფართოვა პარტნიორობა Oracle-თან, რათა გაამარტივოს მომხმარებლების გადახდები ხაზინის, ვაჭრობისა და კომერციის სფეროებში. ახალი პროდუქტების ინტეგრაცია მოიცავს ნაღდი ფულის ბალანსის რეალურ დროში ხილვადობას და ხარჯების ანგარიშების შექმნის დაჩქარებას. 2021 წლიდან, თანამშრომლობის მიზანი იყო ინტეგრირებული გადახდების გადაწყვეტის უზრუნველყოფა, რომელიც ხელმისაწვდომია პირდაპირ Oracle Cloud-ის მეშვეობით. სამომავლოდ მოსალოდნელია დამატებითი პროდუქტის გაუმჯობესებები.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
IXG	0.37bn	92.12	0.17%	12.70%	0.12%
KBE	1.95bn	52.04	6.18%	12.60%	0.12%
KIE	0.80bn	55.92	0.00%	12.80%	0.12%
VFH	9.74bn	108.00	1.51%	13.20%	0.12%
XLF	42.48bn	44.51	1.11%	13.50%	0.12%

ინდუსტრია

5.95 Market Cap (Trillio...
3.72% Weekly Change
20.60 P/E
12.80 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ინდუსტრია

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
MMM	57.51bn	133.18	3.56%	13.30	9.87
CARR	59.68bn	76.51	10.12%	21.56	15.87
CNI	76.57bn	118.77	2.95%	18.53	12.78
BA	110.30bn	156.77	-0.54%	34.79	17.99
HON	139.75bn	204.15	3.04%	19.10	14.03

• თურქეთმა მოითხოვა აშშ-სგან ნებართვა, რომ შეიძინოს GE Aerospace-ის (GE) F404 ძრავები შიდა წარმოების Hurjet თვითმფრინავებისთვის, რათა შეცვალოს მოძველებული T-38 და F-5 მოდელები. თურქეთი ასევე ეძებს GE F110 ძრავებს Kaan გამანადგურებლისთვის. ეს შეთანხმება შეიძლება მიუთითებდეს აშშ-თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, რომელიც ადრე რუსული თავდაცვის სისტემის შექმნის გამო დაიძაბა.


• Raytheon-მა (RTX) მიიღო \$1.2 მილიარდიანი ფიქსირებული ფასის კონტრაქტის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს Advanced Medium Range Air-to-Air Missiles (AMRAAM) წარმოებას.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLI	19.36bn	130.57	0.56%	10.70%	0.12%
VIS	5.29bn	250.29	0.69%	11.00%	0.12%
FIDU	1.21bn	69.58	0.66%	11.00%	0.12%
JETS	1.08bn	19.28	-0.78%	2.00%	0.12%
IYT	0.76bn	66.81	0.97%	2.70%	0.12%

აციკლური საქონელი

4.42 Market Cap (Trillio...
1.13% Weekly Change
23.40 P/E
16.50 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● აციკლური საქონელი

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
PG	396.41bn	174.08	-0.86%	24.11	17.16
DEO	71.41bn	132.11	4.49%	16.89	13.49
EL	35.56bn	84.56	-3.36%	24.68	13.99
ABEV	33.25bn	2.31	-0.86%	11.73	5.90
DG	26.92bn	84.75	2.63%	15.00	12.36


- General Mills (GIS) გაყიდის თავის ჩრდილოეთ ამერიკულ იოგურტის ბიზნესს \$2.1 მილიარდად, რომლის ფარგლებში Lactalis-ი შეიძენს აშშ-ის ოპერაციებს, ხოლო Sodiaal-ი - კანადისას. შეთანხმება, რომელიც მოიცავს ბრენდებს, როგორცაა Yoplait და Oui, დასრულდება 2025 წელს. კომპანია პირველ წელს მოელის 3%-იან EPS-ის შემცირებას და მიღებულ თანხებს აქციების გამოსასყიდად გამოიყენებს.
- Campbell Soup-მა (CPB) თავის ინვესტორების დღეზე გამოაცხადა სახელის შეცვლის წინადადება The Campbell's Company-ზე.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLP	16.34bn	83.93	0.83%	7.20%	0.12%
VDC	6.72bn	220.53	0.73%	7.10%	0.12%
FSTA	1.10bn	51.53	0.73%	7.00%	0.12%
KXI	0.87bn	65.85	0.41%	3.90%	0.12%
FXG	0.41bn	67.92	1.05%	2.00%	0.12%

უძრავი ქონება

1.82 Market Cap (Trillio...
3.62% Weekly Change
47.20 P/E
20.80 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● უძრავი ქონება

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
AMT	98.13bn	238.50	0.99%	31.68	20.88
EQIX	74.67bn	871.54	6.55%	62.42	19.95
SPG	49.99bn	164.02	-0.29%	23.37	15.55
VICI	31.62bn	33.96	1.46%	11.23	14.09
AVB	29.49bn	234.75	4.99%	38.32	19.62


- American Tower-მა (AMT) დაასრულა ინდოეთში თავისი ოპერაციების გაყიდვა Data Infrastructure Trust-ზე დაახლოებით \$2.5 მილიარდად. შედეგად, ATC India-ს შედეგები ახლა კლასიფიცირდება, როგორც შეწყვეტილი ოპერაციები. კომპანია პროგნოზირებს მთლიანი უძრავი ქონების შემოსავალსა და კორექტირებულ საბაზისო მოგებას შესაბამისად \$10.83 მილიარდისა და \$7.19 მილიარდის ფარგლებში, AFFO თითო განზავებულ აქციაზე კი \$10.48-ს შეადგენს.
- Digital Realty-მ (DLR) განაცხადა, რომ მისმა შვილობილმა კომპანიამ, Digital Dutch Finco B.V.-მ, გამოუშვა €850 მილიონი ევროს 3.875%-იანი გარანტირებული ობლიგაციები.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
VNQ	34.03bn	98.64	1.52%	-0.40%	0.12%
SCHH	6.84bn	23.45	1.44%	0.90%	0.12%
XLRE	6.46bn	45.21	1.30%	0.20%	0.12%
IYR	3.45bn	103.14	1.39%	0.70%	0.12%
REZ	0.65bn	91.19	1.87%	7.30%	0.12%

ენერჯეტიკა

3.04 **-0.49%** **15.20** **8.40**
Market Cap (Trillio... Weekly Change P/E EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ენერჯეტიკა

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
CVX	294.00bn	140.61	1.48%	11.14	5.25
SHEL	227.58bn	67.45	0.81%	8.70	4.27
BP	97.44bn	31.84	-0.19%	6.81	3.44
PSX	58.70bn	126.70	-1.12%	10.52	7.64
HES	47.02bn	128.57	1.80%	13.45	7.08

• იაპონურმა Mitsubishi-მ განაცხადა, რომ პარასკევს გააფორმა წინასწარი შეთანხმება, რათა შეიძინოს წილი და უზრუნველყოს დაბალნახშირბადიანი ამიაკის მიღება ExxonMobil-ის (XOM) წყალბადის ობიექტიდან ტენასში. იაპონიამ, როგორც დეკარბონიზაციის სტრატეგიის ნაწილი, მიზნად დაისახა წყალბადისა და მისი წარმოებულის, ამიაკის, გამოყენების ზრდა ენერჯეტიკული ობიექტების ერთობლივი წვისთვის, ასევე ფოლადის და ავტომობილების მრეწველობაში და სხვა სექტორებში.


• Chevron Corporation-მა (CVX) განაახლა განვითარებისა და საინვესტიციო გეგმა კვიპროსის მთავრობასთან.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLE	38.94bn	85.59	2.04%	9.00%	0.12%
VDE	8.63bn	119.23	1.80%	9.40%	0.12%
XOP	3.41bn	128.55	0.33%	6.20%	0.12%
IXC	2.20bn	39.45	0.77%	6.30%	0.12%
IYE	1.32bn	45.07	1.61%	9.20%	0.12%

მატერიალები

2.63 **3.11%** **17.30** **9.40**
Market Cap (Trillio... Weekly Change P/E EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● მატერიალები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
RIO	108.10bn	62.55	4.76%	8.68	4.47
NEM	54.20bn	53.71	6.69%	13.27	6.53
VMC	33.88bn	237.47	2.37%	26.01	15.26
DD	33.30bn	81.42	2.88%	18.71	12.07
PPG	29.87bn	126.98	1.76%	14.08	10.95

• G Mining Ventures-მა (GMIN) გააფორმა შეთანხმება CentroGold-ის პროექტის შესაძენად, რომელიც მდებარეობს ბრაზილიის Gurupi Gold Belt-ში, BHP Group-ის (BHP) შვილობილი კომპანიებისგან. შეთანხმების მიხედვით, BHP მიიღებს შემოსავლის როიალტიებს ოქროს წარმოებაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე.


• Antipa Minerals-მა გააფორმა შეთანხმება Citadel-ის ერთობლივი საწარმოს პროექტში თავისი 32%-იანი არაკონტროლირებადი წილის გასაყიდად პარტნიორ Rio Tinto-სთან (RIO) 17 მილიონ ავსტრალიურ დოლარად (\$11.37 მილიონი) ნაღდი ფულით.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
GDX	14.34bn	40.09	-2.04%	22.30%	0.12%
XLB	5.55bn	92.69	-0.43%	5.50%	0.12%
VAW	2.93bn	202.90	-0.28%	4.50%	0.12%
XME	2.10bn	58.65	-2.42%	4.60%	0.12%
SIL	1.20bn	35.20	-3.84%	23.70%	0.12%

კომუნალურები

1.69 Market Cap (Trillio...
 3.46% Weekly Change
 23.20 P/E
 13.00 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● კომუნალურები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
AEP	49.05bn	104.17	2.08%	15.62	10.53
PCG	38.40bn	19.77	-1.54%	12.15	9.02
AWK	27.50bn	148.13	2.91%	24.89	14.91
WEC	25.76bn	95.85	2.35%	15.62	11.56
ES	21.43bn	67.97	0.85%	12.72	11.86

• National Grid-მა (NGG) შეთანხმა თავისი ელექტროენერჯის სისტემის ოპერატორის (ESO) გაყიდვა გაერთიანებული სამეფოს მთავრობას £630 მილიონად (\$828 მილიონი), რომელიც მოიცავს ვალს, რაც შეესაბამება გაერთიანებული სამეფოს სუფთა ენერჯეტიკის მიზნებს. შეთანხმების დახურვა მოსალოდნელია 1 ოქტომბერს, როცა მთავრობა შექმნის დამოუკიდებელ ეროვნული ენერჯეტიკული სისტემის ოპერატორს, რომელიც გაუძღვება ელექტროენერჯისა და გაზის ქსელების დაგეგმვას. გაყიდვა წარმოადგენს 48%-იან პრემიას ESO-ს მარეგულირებელ აქტივებზე, რომლის ფასი £425 მილიონს შეადგენს.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLU	14.73bn	78.54	-1.59%	9.20%	0.12%
PAVE	7.70bn	38.76	0.39%	12.60%	0.12%
VPU	5.73bn	169.63	-1.31%	9.90%	0.12%
IGF	3.65bn	53.36	-1.12%	5.50%	0.12%
IDU	1.23bn	99.62	-1.06%	12.00%	0.12%

კვირის განრიგი

ორშაბათი

September 16, 2024	Monday
1:00pm - 2:00pm	• Trade Balance (Jul)
1:00pm - 2:00pm	• Wages in euro zone (YoY) (Q2)
4:30pm - 5:30pm	• NY Empire State Manufacturing Index (Sep)

სამშაბათი

September 17, 2024	Tuesday
4:30pm - 5:30pm	• Core Retail Sales (MoM) (Aug)
4:30pm - 5:30pm	• Retail Sales (MoM) (Aug)
6:00pm - 7:00pm	• Business Inventories (MoM) (Jul)
6:00pm - 7:00pm	• Retail Inventories Ex Auto (Jul)

ოთხშაბათი

September 18, 2024	Wednesday
10:00am - 11:00am	• CPI (YoY) (Aug)
1:00pm - 2:00pm	• CPI (YoY) (Aug)
6:30pm - 7:30pm	• Crude Oil Inventories
10:00pm - 11:00pm	• Fed Interest Rate Decision
10:00pm - 11:00pm	• FOMC Economic Projections
10:30pm - 11:30pm	• FOMC Press Conference

ხუთშაბათი

September 19, 2024	Thursday
3:00pm - 4:00pm	• BoE Interest Rate Decision (Sep)
4:30pm - 5:30pm	• Initial Jobless Claims
4:30pm - 5:30pm	• Philadelphia Fed Manufacturing Index (Sep)
6:00pm - 7:00pm	• Existing Home Sales (Aug)

პარასკევი

September 20, 2024	Friday
10:00am - 11:00am	• Core Retail Sales (MoM) (Aug)
10:00am - 11:00am	• Retail Sales (MoM) (Aug)
1:30pm - 2:30pm	• BoE MPC Member Mann Speaks
7:00pm - 8:00pm	• ECB President Lagarde Speaks
10:00pm - 11:00pm	• FOMC Member Harker Speaks

Ticker	Type	Time	Market Cap
BYDDY	Earnings	not supplied	92.20bn
RNSHF	Earnings	not supplied	3.32bn
SDA	Earnings	pre market	1.13bn
EBF	Earnings	not supplied	0.59bn
IPX	Earnings	not supplied	0.46bn
HITI	Earnings	after hours	0.18bn
SUUN	Earnings	not supplied	0.12bn
CYTT	Earnings	not supplied	0.11bn

Ticker	Type	Time	Market Cap
FERG	Earnings	pre market	38.08bn
APOG	Earnings	not supplied	1.37bn
VALU	Earnings	not supplied	0.41bn
CMP	Earnings	not supplied	0.35bn
RCAT	Earnings	not supplied	0.21bn
RFAC	Earnings	not supplied	0.07bn
LSB	Earnings	not supplied	0.05bn
EGRX	Earnings	not supplied	0.05bn

Ticker	Type	Time	Market Cap
GIS	Earnings	pre market	40.70bn
DNLMY	Earnings	not supplied	3.21bn
SCS	Earnings	after hours	1.52bn
AVNW	Earnings	not supplied	0.31bn
YELLQ	Earnings	not supplied	0.28bn
RILY	Earnings	not supplied	0.19bn
SANG	Earnings	after hours	0.12bn
ACRG	Earnings	not supplied	0.11bn

Ticker	Type	Time	Market Cap
FDX	Earnings	after hours	69.59bn
LEN	Earnings	after hours	48.93bn
LEN.B	Earnings	after hours	44.93bn
DRI	Earnings	pre market	19.03bn
FDS	Earnings	pre market	16.64bn
NXGPY	Earnings	pre market	16.53bn
DITHF	Earnings	not supplied	8.04bn
GLPG	Earnings	not supplied	1.93bn

Ticker	Type	Time	Market Cap
PRE	Earnings	not supplied	0.04bn
HRYU	Earnings	not supplied	0.01bn
INBP	Earnings	not supplied	0.01bn

სამართლებრივი შენიშვნა

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 მარჯანიშვილის ქუჩა, თბილისი 0102, საქართველო მეილი: MarketAnalytics@tbccapital.ge
ტელ: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733. ვებგვერდი: <https://investing.tbccapital.ge>


წყაროები

წყაროს დასახლება	ბმული
Bloomberg, Bloomberg Terminal	https://www.bloomberg.com/
CNBC	https://www.cnbc.com/world/?region=world
Fidelity	https://www.fidelity.com/
Financial Modelling Prep	https://site.financialmodelingprep.com/
Reuters	https://www.reuters.com/
Seeking Alpha	https://seekingalpha.com/
Zero Hedge	https://www.zerohedge.com/

Seeking Alpha^α

Bloomberg

FMP
Financial Modeling Prep



S&P
CAPITAL IQ





თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge